მოხუცები აქ არიან- ლირი, გლოსტერი და კენტი. (ის სხვებთან შედარებით ნაკლებად მოხუცია და ამასთან გადაცმულია ისე, რომ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება) არის აქ კიდევ ერთი მოხუცი-არენდატორი, რომელიც გამოჩნდება მხოლოდ ერთხელ, მაგრამ ის ემსახურება ორ ფრონტს-მოხუცებს და ახალგაზრდებს, რომლებიც ასე მრავლად არიან და ასეთი ველურები არიან.

მეჩვენება, რომ ასეთი განაწილება ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორ იქნება ეს გამოსატული „ნატურალურად“ (მოხუცი და ახალგაზრდა მსახიობები), თუ პირობითად არ არის მთავარი. მაგრამ ორი მოხუცი, აქ როგორც მამონტები ისე არიან, მკვირცხლ, მრისხანე და ძუნწ ცხოველებს შორის, რომლებიც იცხოვრებენ მათ შემდეგ. მოხუცები მოძრაობენ ნელა, თითქოს დაყრუბულები არიან. საშინელია ამ ღრმა მოხუცებულობის სახე (ერთი ბრმაა, მეორე შეშლილი, ლირი ამბობს, რომ „ის დაჭრილია ტვინში“), რომელიც გორავს ტალახში, ირგვლივ კი ირევიან ახალგაზრდები ცხელი და ცივი ვნებებით, მხოლოდ ედგარია სხვა.

ედგარი, თამაშიდან რომ გამოვიდეს, მთლიანი სისტემიდან უნდა იყოს ამოგდებული. უნდა შეიშალოს ჭკუიდან, რათა თვითონ დაიჯეროს, რომ თითქოს შეშლილია, უნდა გახდეს შეშლილი ასაკის და მდგომარეობის გარეშე. ის არავინ არ არის, ის ჩვეულებრივი შეშლილია, რომელსაც არ ყავს არც მამა და არც დედა. შემდეგ ის თანდათან ყალიბდება ვინმედ, მაგრამ ეს არ არის თვითონ, ყალიბდება გლეხად, ან სხვა ვინმედ და მხოლოდ ბოლოს იპოვის საკუთარ თავს, მაგრამ მამამისი მაშინ უკვე მოკვდება.

ედგარს არ შეუძლია გაიხსნას მამისთან და ამის ახსნა ლოგიკურად არ შეიძლება, მას არ შეუძლია გაიხსნას მამასთან იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია დრამატული თავლსაზრისით. ისინი არ არიან მზად შეხვედრისათვის. გლოსტერი არ არის მზად, როგორც ჩანს, პიესის ყველა „სიგიჟეთა“ შორის მხოლოდ ერთს ამბავს დადებითი აზრი – ედგარის სიგიჟეს. აქ ედგარი ადამიანურობის პოლუსია და შემიძლია ვთქვა ზედმეტად ადამიანური ადამიანურობის და ედგარი ახალგაზრდაა. შექსპირი თხზავს რა თავის პიესას, რომელიც წარმოადგენს არა მოხუცის, არა მოხუცებულობის დრამას, თაობის დრამას და არა აახალგაზრდული უმადურობის დრამას, ტოვებს მომავლის, ესე იგი ახალგაზრდობისადმი დადებით პოლუსს და მწერალს ყოველთვის ასე აქვს: ავიღოთ, ვთქვათ „მაკბეტი“, რადგან შექსპირმა იცის, რომ არ შეიძლება ცხოვრება გაჩერდეს, რომ ხვალინდელი დღე ეკუთვნის ახალ თაობას. არ

დავივიწყოთ, რომ აქ კვდება ძალიან მოხუცი კაცი და ძალიან ახალგაზრდა ქალი.

და ბოლო მხატვრული სახე, აქ არის ეს მოხუცი, რომელიც ცოცხალია და რომელსაც მოყავს მკვდარი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი. და შემდეგ კვდება მოხუციც სხვა ქალის გვერდით. ცხოვრების ორი პოლუსი, თითქოს სცენის ერთ მხარეს ქალია, და მეორე მხარეს მოხუცი, შუაში კი ეს „სფერო“ ტალახისგან გამოძერწილი.

აქ სამი შემთხვევაა: ლირი, ედგარი და ხუმარა და გრადაცია ასეთია: 1. ის, ვინც ნამდვილად ჭკუიდან იშლება (ყოველშემთხვევაში დროებით მაინც) ეს მოხუცი მეფეა, შემთხვევა. 2. ის ვინც თამაშობს, თითქოს შემთხვევაა, დროებით ეს ახალგაზრდა ჰერცოგია, რომელიც თითქოს შემთხვევაა, საბრალო ტომია. 3. ის, ვინც შემთხვევაა და პროფესიულად და ეს სიგიჟე ცხოვრების ბოლომდეა, ეს ხუმარაა. პრობლემა იმაშია, რომ ხუმარა პროფესიულად კია შემთხვევა, მაგრამ შემთხვევაა თუ არა იგი საერთოდ, შექსპირის ეს პერსონაჟი ამ ტრიადის სამივე შემთხვევას აერთიანებს.

და კარაგდ უნდა მოიფიქრო, როგორ ითამაშო ეს ყველაფერი, ვინ იყო ეს ხუმარა ელიზაბეტისელი მაყურებლისათვის? ეს იყო ნიდაბი, რაც სასაცილო იყო. რომ გააცინო, ამის ერთ-ერთი ხერხია თავის მოგიჟიანება, ან ნამდვილად გიჟი უნდა იყო.

აი, მაგალითად, არლეკინი ნორმალურია თუ შემთხვევაა, ჭკვიანია თუ ბრეივი? ამ კითხვას აზრი არა აქვს, რადგან ნიდაბი არსებობს საბსოლუტურად სხვა განზომილებაში და რაც მასში ყველაზე მეტად გვაღელვებს, ეს მისი რომაგის ახეა. მისი მრავალმნიშვნელოვანი სახე.

ელიზაბეტისეულ ტრაგედიაში ხუმარა მრავალმნიშვნელოვანი ნიდაბია, რომელ მითოლოგიასთანაა დაკავშირებული-ეს სხვა საქმეა. ნიდაბის როლში ის მრავალმნიშვნელოვანია, არა აქვს ასაკი და სქესიც კი. (არლეკინი კაცია, მისი ქალი სმერალდინაა, მაგრამ სცენარების უმრავლესობაში იშვიათი გამონაკლისის გარდა, არლეკინი სტერილური და უსქესოა, მისი ხუმრობები შეიძლება ეროტიულიც იყოს, მაგრამ თვითონ ამ სფეროს არ ეკუთვნის, ყველა მისი სასიყვარულო კავშირი მიზანსცენურ ხასიათს ატარებს, მისი ქორწინებები ყოველთვის „აბსტრაქტულია“, ის არასოდეს არ არის შეყვარებული და არ ცხოვრობს ოჯახური ცხოვრებით, მისი დარდი და სიხარული სწრაფად წარმავალი და მოულოდნელია, როგორც მისი მრისხანება, მას არ ძალუძს იტანჯოს ან „იტანჯება“ განუწყვეტლივ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ხუმარა

არაფერი არ არის, ცარიელი ადგილია, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიური დახასიათება.)

არღეკინი მაგალითად მოსამსახურეა სამუშაოს გარეშე, ზარმაცია, კმაყოფილდება ცოტათი, ვერაგია და ამავე დროს კეთილი და ა. შ. ყველა ეს ფსიქოლოგიური თვისება უნდა ჰქონდეს ნიღაბს.

ხუმარა თამაშობს ხუმარას როლს, ე. ი. მოსამსახურე, რომელიც თამაშობს მოსამსახურის როლს.

ეს რაღაც ფიზიკურ-მორალურ-მიმიკური ერთობლიობაა, რომელსაც პიესაში თავისი ფუნქცია აქვს.

ხუმარა განუწყვეტლივ ტრაგედიის ცენტრში და ამავე დროს მის გარეთაა. ეს არის მისი ადგილი სცენაზე და სცენის გარეთ. შუამავლის როლი სცენას, მსახიობსა და მაყურებლებს შორის.

ყველაზე რთულია დაგინახოთ ხუმარა ტრაგედიის სტრუქტურის შიგნით. საერთოდ, „ლირი“ არსებობის ტრაგედიას, თაობის ტარგედიას, რომელიც არ შეიძლება ჩაიკეტოს სიუჟეტის შიგნით. სიუჟეტი უბრალოდ ერთ-ერთი მისი კომპონენტია.

29 ივნისი

და ისევ ლირის გამოღვიძების სცენა

სულის შემძვრელი სახე: ღრმა მოხუცი, როგორც ახალშობილი გამოფხიზლდა სასიკვდილო ძილისაგან (მშვიდად დაწყობილი ხელები, პატარა გამჭირვალე ფრჩხილები), ქალიშვილის მუხლებზე დაწოლილი. ქალი ზის და წყნარად ეფერება თმაზე, რომლისაგანაც ათავისუფლებს სუსტი ცისფერი ვენებით და ნაოჭებით დაფარულ შუბლს, აქ არის ალერსი, ღიმილი, სიყვარული, მზრუნველობა და სიბრალული სიცოხლისადმი, რომელიც ეს-ეს არის დაბრუნდება, ეს – ეს არის გაიფურჩქნება ხელახლა. მოხუცს მუხლები უღონოდ აქვს დაშვებული, ხელები მუშტებად აქვს შეკრული, სუნთქვა ძლივს შესამჩნევია, შემდეგ ის ახელს თავლებს და უყურებს ქალიშვილს თვალებში.

მოხუცი მამაა-, ქალიშვილი-შვილი. მოხუცი, რომელსაც შვილი ჩუქნის სიცოცხლეს, ქალიშვილი, რომელსაც ის „ყოველთვის უყვარდა“. მარადიული შვილი-დედა, წარსული ცვლა სინორჩე-სიბერის.

1 ივლისი

სცენების ზუსტმა დათვლამ, რომელიც ხდება პიესაში ინტერიერში და ღია ცის ქვეშ, რომ სცენები ინტერიერში უფრო ბევრია, ვიდრე სცენები ღია ცის

ქვეშ. ელიოტის „უნაყოფო“ მიწა, სადაც როგორც მე მეჩვენებოდა, ვითარდება ლირის თითქმის მთელი მოქმედება. ეს ის პირობითი ადგილია, სადაც ვითარდება მესამე აქტის ნაწილი, რომელსაც ენაცვლება გლოსტერის ციხე-სიმაგრე (ინტერიერი). მეოთხე და მეხუთე აქტში თითქმის ყველაფერი ხდება ღია ცის ქვეშ.

ჩანს, რომ „შეგრძნებაში“ გადაწონა ფაქტების რეალობა. სცენა-თეატრის სასოწარკვეთილი სიყვარულის მიწიერი ჭუჭყის, რომელზეც (სცენაზე) დაეხეტებიან შეშლილები და ბრძელები, რომელზედაც იბადებიან და ქრებიან ქარიშხლები. ჩანს, რომ ეს არის „ლირის“ მოქმედების ადგილი. სინამდვილეში ლირის სცენის ნახევარზე მეტი ვითარდება ინტერიერებში, მაგ. გლოსტერის ციხე-სიმაგრეში, მაგრამ ჩანს ჩვენს ცნობიერებაში რჩება სიგიჟისა და ქარიშხლის სახელი, რომელიც არის კიდევ, საკუთრივ „ლირი“.

„ლირი“ იწყება სცენა-პროლოგით: მოხუცი მეფე ყოფს სამეფოს, გადასცემს რა თავის მიწიერ თავისუფლებას ქალიშვილებს და იმათ ქმრებს, მას რჩება სხვა ძალაუფლება, რომელსაც ვერ შეეხები და ვერ წაართმევ ღმერთის ნაჩუქარი მეფის უფლება. მას რჩება კიდევ ბუნებრივი ძალაუფლება-მამის ძალაუფლება, ის ყველას მამაა და არა მარტო თავისი ქალიშვილების. მოხუცები ბრძენები არიან, მათ უნდა მოუსმინონ და პატივი სცენ და როცა ეს ყველაფერი გამოიხატება რიტუალის საშუალებით სასაცილოდ, ან რაღაც ბავშურადაც კი- ეს უკვე სცენური ეფექტია, რომელიც ფლობს უდიდეს დემისტოფიცირებულ ძალას.

გაუგებრობა, რომელშიც ვარდებოდნენ ამ სცენის კრიტიკოსები და ინტერპრეტატორები, გასაგებია.

სცენა ხდება ფსიქოლოგიურად მართებული, თუ გამომდინარეობს იქედან, რომ მეფე უძლური, ავადმყოფი თითქმის შეშლილია: მოხუცი მეფე თითქმის ბავშვობაში დაბრუნებული, დესპოტური და ფეთქებადი, უკვე არ არის სრულ ჭკუაზე, კაპრიზის გამო, გადაწყვეტს ითამაშოს და გამოსდის....

აქ სასაცილო მეფის ასაკობრივი ჭკუასუსტობა არ არის. სასაცილოა ის, რომ მოხუცი ისტორიის გარეშეა, ისტორიის წინაშე, რომელიც ირგვლივია და დიდი ხანია გადააბიჯა მას თვითონ, ის უბრალოდ სასაცილო მოხუცია. პრობლემა იმაშია, როგორ ვაჩვენოთ ის სცენაზე, გაურკვეველი იდუმალი ნაწილი-ალეგორიის კუთვნილება, უნდა დარჩეს, სხვანაირად შეუძლებელია, ალეგორია უნდა გამჟღავნდეს თანდათან, იმის მიხედვით, როგორ მიდის სიუჟეტი: „აი, რატომ იყო ეს ასე, აჰ, აი, რატომ გვეჩვენებოდა, რომ...“

ე. ი. პირველი სცენა ცოტა ჯადოსნურია, ცოტა ზღაპრულია, რაღაც საშუალო თამაშსა და რიტუალს შორის, რომელშიც ყველას სწამს, ან არ სწამს და მხოლოდ მეფეს სჯერა უსიტყვოდ, მაგრამ რამდენად ღრმად? სცენა, სადაც არქაული

ურთიერთობები ნარჩუნდება, მხოლოდ ჩვევების გამო და ბოლო დღესასწაულს აღნიშნავენ მხოლოდ ტრადიციის გამო. სცენა სადაც მოხუცი მარტოსულია ახალგაზრდების ბრბოში, სცენა სადაც უცნაურად ჩანს, რომ მხოლოდ ის, ეს მოხუცი და კიდევ ერთი, ასაკიანი ერთგული მსახური-მხოლოდ ისინი დარჩნენ წარსული თაობისაგან.

ისინი ამას ვერ ხედავენ, ჩვენ ვხედავთ.

5 ივლისი

„ლირის“ სცენა-გამოძერწილია სისხლისა და ტალახისაგან (ჰამლეტი-„მე გამოძერწილი ვარ ტალახისაგან“) სიკვდილ-სიცოხლის შესაძლებლობა მკვრივი შედეგებული მასაა, რომელზედაც ადამიანის ნაკვალევი აღიბეჭდება და არ იშლება. ეს მნიშვნელოვანია არა ტექნიკური თავლსაზრისით, არამედ იდეურ-პოეტური თავლსაზრისით. ამ უსიყვარულო პლანეტის სევდა არ უნდა გამორიცხავდეს სიცოცხლის შესაძლებლობას, სიკვდილი და დაბადება ერთდროულად. მსახიობებმა უნდა შეძლონ გაადამიანურონ ეს უკაცრიელი, სასოწარკვეთილი დედამიწა. რამდენადაც დედამიწა-სცენა უკაცრიელი და პირქუშია, იმდენად ის სავსეა სიცოხლისა და ბედნიერების ფარული შესაძლებლობებით. სცენა ვიზუალურად უნდა იყოს საფუძველი, ადგილი სადაც, შეიძლება ითამაშო. თეატრი ჩვენთვის არის ხე, ქაღალდი, თოკები, ძველი იატაკი, ძველი დაფა, ყველაფერი ღურსმნებში, ეს შექსპირისეული „წრე ხისაგან“, ცუდად შეკეთებული ხიდი, ეს ელიზაბეტისეული სცენის სახე აღწევს ჩვენამდე, თუმცა შეცვლილი სახით, თუმცა საფუძველი იგივეა. ეს არის დასავლური თეატრი.

და როგორ შევათანხმოთ ეს სახე პლანეტა დედამიწის სახესთან: მატერიის სივრცე, სიღრმეში შესაძლებელი შავ-იასამნისფერი მიწა-ტალახი, სილა, ლავა... მეჩვენება, რომ ეს არის ამოსავალი წერტილი კონკრეტული საუბრისათვის.

6 ივლისი

და ისევ „ლირის“ სხვადასხვა გეგმაზე

ისტორიული გეგმა: კლასების ბრძოლა, ყველაფერი, რაც ლირს შეემთხვა, მის სამეფოს, მის ქალიშვილებს და იმათ ქმრებს, ახალგაზრდა ედმუნდს და ახალგაზრდა ედგარს, მოხუცი და ახალგაზრდა, როგორც სიუჟეტი.

მოხუცებულობის და ახალგაზრდობის გეგმა.

გეგმა შემეცნების გზისა ტანჯვის გავლით.

გეგმა შემეცნების გზისა სიგიჟის გავლით. ნამდვილი შეშლილები და ისინი, ვინც გიჟებად გადაჩვენებენ თავს და ისინი, ვინც იძულებულია თავი მოგაჩვენოს-სინამდვილე და მოჩვენებითობა. შეიძლება ამის გამო ბოლოს ლირი წარმოთქვამს თავის ასაკზე: „ოთხმოცამდე“. გამოღვიძების შემდეგ ლირი იქცა

წენარ მოხუცად, რომელმაც იცის, რომ უკვე გადააბიჯა მიწიერ ზღვარს. აქამდე ის მოხუცია, რომელსაც არ სჯერა, რომ მოხუცია, ის ჯერ კიდევ ძლიერია, ძალაუფლების მქონე, ის ჯერ კიდევ ბრძანებლობს, მას შეუძლია იყოს ფეთქებადი, დიდბუნებოვანი, ჯიუტი, არასამართლიანი, მას შეუძლია იშინშილოს, შეუძლია დაარტყას მსახურს, ის მოხუცია წლების და მდგომარეობის მიხედვით.

ლოგიკურად შეიძლება მივიღოთ ის ფაქტი, რომ მისი ქალიშვილები არ არიან მოხუცები. ვთქვათ, ისინი არიან 20-18-15 წლის. ისინი ადამიანის გვიანი შვილები არიან, ადამიანის რომლის ცხოვრება განუსჯელად დახარჯულია ჩხუბსა და ბრძოლებში. და თუმცა გვეჩვენება, რომ ეს არც ისე მნიშვნელოვანია, ეს დასკვნა ღირის სასარგებლოდ არის, რომელიც თანდათან ბერდება გარეგნულად და შინაგანად.

8 ივლისი

ადამიანად რომ იქცეს ღრვი გაივლის სიგიჟის აქტიურ და სასოწარკვეთილების აქტიურ ფაზას. შემდეგ ძილის შემდეგ, ის შეიგრძნობს ჭეშმარიტებას. გლოსტერი სანამ ადამიანად ჩამოყალიბდება, გაივლის ფიზიკურად პასიურ სტადიას, ამს შეუბრალებლად აბრმავებენ და მაშინ ისიც შეიცნობს ჭეშმარიტებას, თავის ჭეშმარიტებას.

განსხვავება ფიზიკურ და სულიერ ტაჯვას შორის. მსგავსია თუ არა ღირის და გლოსტერის სახეები? ერთი „შეშლილია“, მეორე „ბრმაა“.

თარიღის გარეშე

პირველი სცენის ბირთვი არის ტესტი სიყვარულზე, შვილები ამბობენ, რომ უყვართ მამა, როგორც პური და მარილი. ამრიგად, ერთმნიშვნელოვანი რიტუალი წინასწარ ცნობილი ფინალით. რიტუალის საშუალებით ეძლევა ფორმა აქტს, რომელიც დემონსტრირებას უკეთებს შვილების მამებისადმი მორჩილებას, ანუ ახალგაზრდების მორჩილებას მოხუცებისადმი.

რიტუალი არ შეიძლება იყოს შეცვლილი, ან მით უმეტეს უარყოფილი. ის უესტებისა და სიტყვების საკუთარ ლოგიაკს მიყვება. ეს არ არის ღირის გასართობად ჩაფიქრებული წარმოდგენა. ეს ის არის, რაც უნდა გაკეთებულიყო, რომ პრაქტიკულად სანქცირებული ყოფილიყო ღირის წასვლა.

კორდელია არღვევს მთელ ამ ისტორიულად შექმნილ რიტუალურ კონსტრუქციას, ამასთან არკვევს გაუფრთხილებლად, მოულოდნელად.

გასაგებია, რომ მისი ქცევის ასეთი გაგების გამო კენტის მდგომარეობა ხდება უფრო რთული. ის ცდილობს დააწინაროს მეფე, მას ესმის, რომ მეფე თავისებურად

ჯორჯო სტრელერი, სტრელერის გამოცდილება, მოამზადა ლაშა ჩხარტიშვილმა

მართალია. ისიც არ ელოდა, რომ კორდელია ასე გადაჭრის კვანძს, მაგრამ ის არც იმას ელოდა, რომ მეფე ასე სერიოზულად მიუდგებოდა კორდელიას ქცევას.

მთელი ისტორია შეიძლება მოთხრობილ იქნას ასე: მოხუცი მეფე ღირი გადაწყვეტს რა დათმოს ძალაუფლება და გადასცეს იგი ქალიშვილებს და მათ ქმრებს და გაუყოს მას სამეფო აწყობის სადღესასწაულო ცერემონიას, რომელამც უნდა მოახდინოს მომხდარის სანქციონირება. ამ მიზნით იგი, სახალხოდ თამაშობს რიტუალურ ტესტს სიყვარულზე. ის ხსნის რა სამეფოს გაყოფის შესახებ მის გადაწყვეტილებას და შემდეგ სთავაზობს რიტუალურ კითხვებს სამივე ქალიშვილს. პირველი ორი პასუხობს, როგორც წესია, რითაც დემონსტრირებას უკეთებენ მამისადმი სრულ მორჩილებას, მესამე, უმცროსი რიტუალური ფორმის წინააღმდეგია, რაც მას უაზრობად მიაჩნია.

მოხუცი მეფე ხედავს რა ამ ბუნტს, ამ სერიოზულ თავდასხმას თავის მეფურ ძალაუფლებასა და ღირსებაზე, თვითონ სისტემაზე, რომელიც შეადგენს ამ ძალაუფლების საფუძველს, გადაწყვეტს წაართვას მას მემკვიდრეობა და მიათხოვებს მას ფრანგ მეფეს, რომელსაც იგი მიყავს ქვეყნიდან. ასე უფლისწული რა არის ეს-სიმბოლო და რეალობა ერთსა და იმავე დროს.

ეს არის ღირის გარემოცვა, რომელიც შედგენს მის ძალას. არის თუ არა ის ღირის შეიარაღებული ექსკორტი, რომელიც მის მეფურ ძალაუფლებას უზრუნველყოფს? თუ ეს მხოლოდ საპატიო დაცვაა? მაგრამ მაშინ რატომ ლაპარაკობს გონერო მათზე პოლიტიკური ტერმინებით („ასი უფლისწული, რომლებიც მზად არიან მოხუცის ნებისმიერი ფანტაზია, ნებისმიერ დროს დაიცვან იარაღით და ჩვენ ეს არეულობა და ხმაური უნდა ვითმინოთ“). და როგორია ამ შემთხვევაში თვითონ გონერო კუთვნილი ძალები?

ახალგაზრდა ადამიანები სინამდვილეში იწვევენ არეულობას. და რატომღა ეყრდნობა მათ ღირი? კეკლუცობის გამო? უმაღლესობის განცდის გამო? რომელიც ამ გზით უნდა გაამყაროს. ღირს ემორჩილებიან ეს ახალგაზრდები, ეს მისი საკუთარი ესკორტია, რომელიც ბრმად ემორჩილება მეფის ძალაუფლებას. ახალგაზრდები იცავენ მას, უზრუნველყოფენ მის ძალას და ისინი ართობენ მას. ღირი ცხოვრობს მათ შორის, ის სვამს მათთან ერთად, ხუმრობს, უჯავრდება მათ, აიძულებას თავს უყვარდეს და პატივს სცემდეს, ასე უფლისწული შეიძლება იყოს ძალაუფლების სიმბოლო, რომელიც ღირის კუთვნილებაა და რომელსაც უნდა ემინოდეს გონერო.

შემდგომნი ისტორია შეიძლება მოთხრობილ იქნეს ასე: მას შემდეგ, რაც მან სახელმწიფოზე ზრუნვა გადაულოცა თავისთვის დაიტოვა ჯარის

მნიშვნელოვანი ნაწილი- მისი ქალიშვილები- გონერია და შემდეგ რეგანამ, რომლებსაც ეშინოდათ ამ ძალის, გადაწყვიტეს ჯერ შეემცირებინა და მერე საერთოდ წაერთმია მისთვის ჯარი. მოხუცი მეფე დარჩა მარტო სული, ყველასგან მიტოვებული, გახდა თავისი შვილების დაუცველი მსხვერპლი.

ლირის მიერ მიღებული ზომები: წერილი, რომელიც კენტთან ერთად გაგზავნა, საუბარი მასხარასთან. ეს საუბარი უცნაურია. უფრო უცნურია, ვიდრე გენიალური. ლირი საუბრობს, მსჯელობს, თავს აქნევს, ვერ გებულობს, ესმის, უსმენს, არ უსმენს. მასხარა აგრძელებს ყბედობას, სიმღერების მღერას. ის თითქოს აქ არ არის არამედ შორს. შემდეგ ის ბრუნდება და ისევ მიდის თავის გაუგონარ მონოლოგში, რომელიც მთავრდება ფრაზით: არ დაუშვათ გადავიდე ჭკუიდან, ღმერთებო! გამოგზავნეთ ძალები, რო არ შევიშალო ჭკუიდან!“

პერსონაჟები წარმოთქვამენ აქ თავის მონოლოგებს ორ გადამკვეთ დონეზე და თუ ისინი გადაიკვეთებიან, მხოლოდ შემთხვევით. შეიძლება ისინი მიზანსცენურად შორს არიან ერთმანეთისაგან სიტყვებს ესვრიან ერთმანეთს შორიდან. ერთი მხრივ მასხარა, მეორე მხრივ – ლირი, რომელიც ცდილობს იფიქროს (მას ხომ ფიქრი არ შეუძლია), ლირი რომელიც ცდილობს გაიგოს (მას არასდროს არაფერი ესმოდა).

სცენა მთავრდება გაუკვევლად, მოცემული ადგილი ითვლება პირველი აქტის ბოლოდ.

მასხარა ქრება მესამე აქტის ბოლოს ე. ი. პიესის შუაში. რატომ? მიზეზი პოეტურია.

ლირი თავისი სიბრძნის აპოგეაშია. ის ვერ ხედავს განთქმულ რეპლიკას: „მე დავწვები დასაძინებლად შუადღისას“ (ე. ი. უდროოდ)? ეს თითქოს მისი უდროო სიკვდილის მაჩვენებელია. ბრედლი ეჭვობს რომ წვიმასა და ქარში მოხვედრილი მასხარა ავად გახდა და ეხლა თავს ცუდად გრძნობს. მასხარა გამოდის კენტთან და გლოსტერთან ერთად და მოაქვს მოხუცი ლირის გაშეშებული სხეული. ეს კორტეჟი მასხარას სცენაზე ყოფნის უკანასკნელი მომენტი. და გასაგებია რომ ეს არ არის შექსპირის დაწერილი მაგრამ მოქმედების განვითარების ლოგიკის ახსნისათვის. და მაშასადამე ის შეესაბამება ავტორის ჩანაფიქრს.

შემდეგ ტექსტში იქნება კიდევ ერთი კენტის რეპლიკა, რომელიც მასხარას ეხება, და რომელიც ამტკიცებს, რომ მას და ლირს შორის არსებობდა ნაზი დამოკიდებულება.

თარიღის გარეშე

სცენას სიმაღლის ნახევრამდე წინიდან ფარავს უხეში ქსოვილი – ისეთივე როგორიც სცენის უკანა ნაწილს. ის მაღლა იწევა. შეიძლება ის ეკიდოს კუთხის ქვეშ იატაკთან.

თავდაპირველად სიბნელეა. შემდეგ ეს ფარდა უეცრად იწევა მაღლა და ჩანს სცენის სივრცე – ცარიელი, ჩაძირული დამაბრმავებელ შუქში, რომელიც თითქოს დროის გარეშე არსებობს. ეს ელვას ჰგავს. შემდეგ კვლავ სიბნელე და სიბნელეში – მუსიკა.

და ამ სიბნელეში უკვე სცენაზე სწრაფად ეწეობა ხიდები, ლაგდებიან მსახიობები. ლირი მოიგდებს მხარზე მანტიას, ლაგდებიან მსახიობთა ჯგუფები. შემდეგ ისევ სინათლე და ჩვენ ვხედავთ მეფე ლირის სასახლეს. მეფე ზის ცენტრში, მას გვირგვინი ადევს, მუქი წითელი მანტია აცვია, რომელსაც უკან გრძელი შლეიფი დასთრევს. გვერდებზე – ყველა დანარჩენი: ისინიც გვირგვინებში და ლენტებში, ოქროსფერ მისართავეებში როგორც წესია, და ყველა ისინი ახალგაზრდები არიან, გრძელი თმებით, ფუმფულა წვერით, ფანტასტიური ვარცხნილობებით. მამაკაცები მბრწყინავ მუქ **კამზოგებში**, შიშველი ხელებით. ქალები – მყვირალა მოქარგულ კაბებში. მოხუცი, ჭაღარა ნაოჭიანი მეფის გვერდით – სხვა მოხუცია, ნათელი თვალებით, რაღაცით სასაცილო, სხვა გვერდზე – მესამე, მათზე უმცროსი, ჯერ კიდევ ძლიერი, მწვანე თვალებით. ამათ გარდა მოხუცი არავინ არის. მათი იზოლირებულობის და მარტოსულობის განცდა. არასტაბილურობის და რეალობის შეგრძნება ამ ყველაფრისაგან. ყველა მორთულობა აქ უბადრუკია, მაგრამ ხანჯლები, რომლებიც ყველა ახალგაზრდას ამშვენებს, ნამდვილია და **ფოლადისაა** ლირი მტკეპარე ხმით წარმოთქვამს სიტყვას.

მოაქვთ რუქა და შლიან მის წინ. გრძელი ნახევრადგამჭვირვალე ქსოვილის გრაგნილი.

ღირი დაწვდა რუქას და ხევს შაუზე. ქსოვილის გახვევის ხმა. ქსოვილის ნაწილები არასწორი კიდევებით ღირის ხელებში, ის უფრიალებს მათ ქალიშვილებს. ქალიშვილები სასწრაფოდ დაიტაცებენ რუქის საკუთარ ნაწილს. ღირი გვერდზე გადაიწევეს გვირგვინს, შემდეგ მოიხსნის მას სწრაფი მოძრაობით და გადატეხავს შაუზე. შემდეგ გადაუგდებს მას ნაწილებს ქალიშვილებს, რომლებიც ხარბად და საჩქაროდ იჭერენ მათ.

ღირი ხან შემოიცვამს თავის მანტიას, ხან იხდის მანტიას. როდესაც ის ხელებით უკან მოხინჯავს მანტიას და ისევ შემოიცვამს მხრებზე. მოხუცები მას ეხმარებიან. ღირი ეხვევა მანტიაში და უჭირავს ის ორივე ხელით. შემდეგ ისევ

მოისვრის და ყვირილით გამორბის ავანსცენისაკენ. ფეხებს აბაკუნებს, მუშტებს იქნევს.

დამსწრეები თვალს ადევნებენ „მეფურ განრისხებას“ დამახასიათებელი გულგრილობით, კომენტარის გარეშე, გაყინული სახეებით.

შემდეგ ყველანი. მიდიან. ლირი ერთ მხარეს გადის. ახალგაზრდები წამიერად თითქოს ქარიშხალმა დაუბერაო, მეორე მხარეს მიდიან.

ცარიელ სცენაზე დევს მანტია, აგდია რამდენიმე ბალიშის ბუმბული, ზონრების და ქსოვილის ნაგლეჯები. და აქ კიდევ ორი ქალიშვილია, ახალგამეფებულები. ისინი უყურებენ ერთმანეთს და უეცრად ვარდებიან იატაკზე, ჯდებიან ან წვეებიან, წყნარები და ცინიკურები, ერთი იზმორება, მეორე ჩაფიქრებული ისმევს თავზე ხელს.

მერე სცენა წამიერად რჩება ცარიელი. გამოდის ორი მსახური და იწყებენ იატაკის დაგვას.

ამ დროს ვინ არის პარტერში? უეცრად პროექტორის სხივი ეცემა მომღიმარე ახალგაზრდას – ლამაზია, თეთრი მომხიბვლელი და უსინდისო. ის ზნატად დგება სავარძლიდან, ხტება ხიდზე გადებულზე ცენტრალურ გასასვლელზე, ჯდება, ფეხებმოშვებული იწყებს თავის მონოლოგს: ასე ნათლად, ისე უშუალოდ. შემდეგ ის დგება ბრუნდება სცენისაკენ, საითაც ამ დროს გვერდითა კულისიდან გამოდის მოხუცი – მამა. მოხრილი, საკუთარ ფიქრებში ჩაძირული, მოხუცი მოდის, თან რაღაცას ბუტბუტებს. ახალგაზრდა ადის სცენაზე და გამოელაპარაკება მას.

მოხუცი იკეთებს სათვალეს კითხვისათვის. შუშებით გადიდებული გუგები ამ სათვალეებში გლოსტერი თავიდანვე ბრმა ჩანს.

როცა ლირი ბოლოს გამოდის კორდელიასთან ერთად, როემლიც ხელში აყვანილი მოჰყავს: კორდელია თითქოს გატეხილი თოჯინაა, ისეთი ფერმკრთალი, უსისხლო, თეთრი სახით. და ლირს მოყავს ის როგორც თოჯინა, ისე რომ ფეხსაცმელები იატაკზე ეთრევა. ის მიიკრავს მას მკერდზე, მოყავს გაჭირვებით. ის ხომ მძიმეა, ყველაფრის მიუხედავად. მისი ფეხსაცმელები ტალახზე ნაკვალევს თითქოს ნაკაწრს ტოვებენ.

ლირს უჭირს სიარული. შემდეგ ავანსცენაზე დააწვინა ის იატაკზე ლირმა კორდელია – თოჯინა, დატოვა ის დაწოლილი და მუხლებზე დაჩოქილი უყურებს მას, როგორც ძალიან მოხუცი ბავშვი უყურებს თავის გატეხილ სათამაშოს. ცნობისმოყვარეობით. და აქ მიდის რეპლიკა: „შენ ჩამოგახრჩვეს, ჩემო საბრალო მასხარავ!“

შემდეგ ღირი ეხება თოჯინა – კორდელიას: ტაშს უკრავს მას და უკან გადაიწევა, რათა დაინახოს რა გამოვიდა ამისგან, შემდეგ მოქაჩავს მას ხელზე, შემდეგ აუწევს მას ცალ ხელს მატიგა,“ თანდათან გაუმართავს და გაუშვებს. ხელი ჩამოვარდება უსულოდ. და მაშინ ღირი მიხობდება კორდელიასთან ძალიან ახლოს, უყურებს მას სახეში გაიმეორებს სინაზით და სულისშემძვრელად: „შენ ჩამოგახრჩვეს, ჩემო საბრალო მასხარავ!“ წამოსწევს და გრძნობით მიიკრავს გულზე კორდელიას, რომლის უძრავი, მკვდარი ხელები ირხევიან იავნანას რიტმში.

ღირის აღმოჩენა, რომ მისი კორდელია – ეს არის მასხარა – ეს აღმოჩენა აქ ყველაფერია. კორდელია ამ სცენაში შეიძლება ჩაცმული იყოს შავ კაბაში იმ შემთხვევაში თუ მასხარა ჩნდებოდა შავში თეთრი კლოუნის სახით. უბრალოდ როცა ღირი ეთამაშება კორდელიას სხეულს, როგორც თოჯინას, სცენაზე წამიერად უნდა გამოჩნდეს სახე, რომელიც მოგვაგონებს მასხარას.

თარიღის გარეშე

თუ მე ვანდობ მასხარას და კორდელიას როლს ერთსა და იმავე მსახიობს, მე მივიღებ სცენაზე იმავე აღრევას, რომელიც იყო ელიზავეტისეულ თეატრში. თუმცა იქ, პირიქით, კორდელიას როლს თამაშობდა კაცი.

ქალებს არ შეეძლოთ ელიზავეტისეულ სცენაზე ეთამაშათ. ბიჭები, რომლებიც ქალების როლს თამაშობდნენ არ მოქმედებდნენ ხალხზე რაღაც განსაკუთრებულად. ისინი სტიმულს აძლევდნენ მაყურებლების ემოციურ ფანტაზიას, მაგრამ იმით, რომ „წარმოადგენდნენ“ სქესს, რომელსაც რეალურად არ ეკუთვნოდნენ, ეს გრანდიოზული ალეგორია სიბერეზე, ტანჯვაზე, როემლიც აბრმავებს მაგრამ აღვიძებს ადამიანური სულის შინაგან ბირთვის, სიგიჟის შესაძლებლობაში თამამია, როგორც რომელიც ყველა ადამიანშია ჩადებული.

ან უარი უნდა თქვა ყოველგვარ ცდაზე, ან შეგნებულად უნდა იყო მზად უიღბლობისათვის, რომელიც ასე თუ ისე ტოვებს გამოსავალს, ხორცს ასხამს რა ნაწილობრივ მაინც იმას, რასაც გვეკარნახობს კრიტიკული მხატვრული ინტუიცია.

ეს რევოლუციის მარადიული თემაა – ჩაფიქრებული რევოლუციის, უტოპიური თემა, სრულყოფილი რევოლუციის, რომელიც არ მოხდება არასდროს რევოლუციის თემა, რომელიც ხდება იმდენად, რამდენადაც ხელს უწყობს მას ისტორიული გარემოება.

მაგრამ რა აზრი აქვს რევოლუციის სადწებას, თუ დარწმუნებული ხარ, რომ ეს ჩაიშლება? ე. ი. : ან დაუსრულებლად უნდა ელოდო შესაბამის მომენტს,

ან – მსგავსად გიუებისა, –იმოქმედო მომენტის წინააღმდეგ. პოლიტიკაში რევოლუცია უნდა დაიწყო, თუ დარწმუნებული ხარ წარმატებაში. მაშინ როცა ხელოვნებაში და მთელი ხელოვნების სიღრმეში –მის მისკროსკოპულ ნაწილში – თეატრში – ყოველთვის უნდა დაიწყო წარმოუდგენელი რევოლუცია.

თარიღის გარეშე

ჩემი ინტუიტიური დასკვნა: მასხარას –კორდელია. როცა პიესაში ქრება კორდელია, ჩნდება მასხარა, როცა ქრება მასხარა, ჩნდება კორდელია. რა თქმა უნდა ეს დამთხვევაა, რომელიც სცენიურად უფრო გაოცებს, ვიდრე კითხვის დროს, შექმნის უცნაური მოუსვენრობის განცდას. მოგვიანებით ამ განცდას ამბაფრებს **ბრელაგის** ციტატა, რომელითაც იგი თვლის, რომ შექსპირის დროს მსახიობი, როემლიც თამაშობს კორდელიას ასრულებდა ასევე მასხარას როლს. რაზეა ეს მოსაზრება დამყარებული?

ვინ თქვა, რომ მასხარა „ ლირში“ აუცილებლად ახალგაზრდა უნდა იყოს. მაგრამ ერთი რაღაცა ეჭვგარეშეა. არის რაღაც იდუმალი მასხარას და კორდელიას შორის. ეს კავშირი აშკარად არის, თუმცა მისი ახსნა არ შეიძლება. **ბრელაგი** ამბობს, რომ მასხარა რომელსაც უყვარს კორდელია და დაიტანჯება, როცა მას აძევებენ, იყო კორდელიას მასხარა ვიდრე ლირის“

სადაც მასხარა ახანგძლივებს კორდელიას ყოფნას სცენაზე. ბრელატის მიხედვით, საბრალო მასხარა, რომელსაც ასე უყვარდა კორდელია „იყო ყმაწვილი, არც მთლად შეშლილი, მაგრამ...“

მეორე მხრივ მასხარა გვაიძულებს უფრო ძლიერად ვიგრძნოთ კორდელიას არყოფნა. მისი პირველი საყვედურები მეფესთან იგივეა, რაც კორდელიასი: მოხუცი მეფე ცდება, ის შეშლილია, მან უნდა დაიხუროს მასხარას ჩაჩი? ეს ორი მისი ქალიშვილი სულაც არ არიან ისეთები როგორც ის ფიქრობს, ისინი მალე საკუთარ თავს გამოაჩენენ.

მაგრამ ჩემი სიმართლის დასტურია: მასხარა ეს განუწყვეტელი სიკეთეა, რომელიც ყოველთვის რჩება – გაზევების შემდეგაც.

მასახარასა და ლირს შორის არის ძნელადსახსნელი კავშირი, რაღაც კუთხით **ნაზიც**. მასხარა ეს სიკეთეა, როემლიც რჩება ლირის გვერდით.

ჩემს თავს დავუსვი რიტორიკული შეკითხვა, როემლიც ბევრ რამეს ხსნის. დავუშვათ მასხარა. არ ქრება ისე იდუმალად, როგორც ქრება პიესაში და აგრძელებს ლირთან ყოფნას. რა მოხდებოდა ამ შემთხვევაში, როგორი იქნებოდა მისი ლირთან დამოკიდებულება? ავიღოთ ერთი სცენა: ლირის გამოფხიზლების

სცენა კორდელიას მუხლებზე და რაც მას მოყვება. ლირის შექმნა მასხარას მონაწილეობა მიეღო ამ ყველაფერში და რა უნდა გაეკეთებინა და ეთქვა მას?

მაშ ასე, ლირის სიგიჟის მერე მასხარასთვის აქ ადგილი არ არის და მართალია ის ვინც ამბობს, რომ მასხარა ქრება მას შემდეგ რაც ლირი სიგიჟემდე მიიყვანა. მისი როლი აქ მთავრდება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მასხარა ემსახურება ლირის როლს იმ ფაზაში, სანამ ის არის უარყოფითი გმირი. მასხარა – კომენტარებია მის უარყოფით თვისებებზე. ახლა აქ საჭიროა არა მასხარა, არამედ კორდელია.

ეჭვგარეშეა ის, რომ 1. მასხარა ლირის გვერდით არის და მისი არსებობა იგრძნოს აქ მისი ქალური არსებობა თუ არა, არც კაცური 2. კაცის არსებობის განცდას ლირს აძლევს კენტი. „შენ ვინ ხარ? ეკითხება მას ლირი. „ადამიანი მამაკაცი“, – პასუხობს კენტი. პრობლემა მასხარა – კორდელია – ეს ყველაზე თავსატეხი პრობლემაა, რომელთანაც შეხება მქონია და უცნაურია კიდევ კითხვა, არსებობს თუ არა ის საერთოდ და ხომარ არის ფანტაზიის ნაყოფი!“

თარიღის გარეშე

„ლირის“ მუსიკა – უნდა იყოს თუ არა ის გუნდისათვის? და უნდა იყოს თუ არა ის კონკრეტული?

შერეული გუნდი – მოლპარაკე, მომღერალი და ე. ი. რაღაც სიტყვები. და რატომ გუნდი? უბრალოდ მეჩვენება, რომ არსებობს რაღაც მხარე ამ ტრაგედიის შეცნობაში, რომელიც მოითხოვს ადამიანურ ხმას მუსიკალური მხარდაჭერის სახით. იქნება თუ არა ეს ხმა – ბგერები? ხმები ინსტრუმენტის ხმის ან ხმაურის მსგავსი. ეს არის გუნდი ადამიანური – არაადამიანური? ადამიანური, რომელიც ხდება არაადამიანური: ხმა რომელიც იწყებს ჟღერას როგორც გმინვა, იაგნანური, ცხოველური ყმუილი და ა. შ. არაფერია ადამიანის ხმაზე პლასტიკური და უკეთესი. მაგ. რიტუალის სცენა ლირთან ერთად, სასახლის აირებთან და ქალიშვილებთან ერთად. სადღესასწაულო, თითქმის ეკლესიის გუნდი. ამასთან უნდა მოვერიდოთ გადამეტებულ კონკრეტულ ისტორიულ დახასიათებას, მაგრამ არც დავივიწყოთ ის.

ეს რიტუალური ატმოსფერო დასაწყისში მოწესრიგებულია, ბოლოსკენ გადაიქცევა **ქაოტურ** კაკაფონიად სიტყვებისაგან და ბგერებისაგან. წესრიგის რღვევა, გარდაიქმნა უწესრიგობაში – მაგრამ უწესრიგობა ცივი და მათემატიკურია .

ღირი იწყებს ყვირილს, წრეზე სირბილს, არღვევს რა კეთილი მამის სახეს, როემლიც ყოფს სამეფოს და მიდის მოსასვენებლად. მის გმინვაში უნდა ისმოდეს შუშის მსხვერვის ხმა, ყველაფერი მთავრდება სიწყნარეში ბგერების გაფანტვით, რომელსაც არღვევს მხოლოდ ერთი ნოტა, შემდეგ კი სრული სიჩუმე.

რას აკეთებს ამ დროს მასხარა? იგი პერიოდულად მღერის სიმღერას. რას და როგორ მღერის? მარტო მღერის ის? თავის თავს თვითონ უკეთებს აკომპანიმენტს რას გავს მისი სიმღერა? ერთი სიტყვით ეს უნდა იყოს უცნაური, რაღაც საშუალო რეჩიტატივსა და ხალხურ სიმღერას შორის. ზოგჯერ ის უღერს აბსტრაქტულად.

ზოგჯერ მგონია, რომ მისი სიმღერა უნდა უღერდეს თითქოს სხვა პლანეტიდან. მასხარას შეიძლება მივცეთ ძველებური ფლეიტა, რომელსაც იკავენ პირის პერპენდიკულარულად. არ არის აუცილებელი, ეს იყოს მელოდია, უბრალოდ მუსიკალური ინტერვალები.

ქარიშხალი. აი სად აუღერდება სხვების ხმები, სამყაროს ხმა, როემლიც ღირის წინააღმდეგია. ქარიშხალს უნდა გამოხატავდეს დასარტყამი ინსტრუმენტები და ადამიანის ხმები, რომლებიც იქნება გმინვა, აფეთქება, ჭექა-ქუხილი და მთელი აჯანყებული სამყარო. არის სიტყვები რომლებიც მეორდება სხვებზე ხშირად. თუ სცენის სიღრმეში იქნება კედელი, მისგან მეტალური გრუსუნით გამოვა ზარის რუქა, თითქოს თვითონ კედელია უზარმაზარი ზარი.

ღირის გარემოცვა მტრულია და შინაგანად მასში მტრული სამყაროა, რომელიც ინგრევა და ამის გამოხატულება ქარი, რომელიც შედგება ქუხილის, სტვენის, შრიალისაგან.

გაანთება აქ – შეუცვლელი განათება. მკვეთრი, მჭრელი, გამჭოლი.

შემდეგ – სიბნელე. შემდეგ ისევ განათება.

ქარიშხლის პრობლემა ეს რთული აკუსტიკური პრობლემაა ან ძალიან მარტივი, თუ მოვნახავთ გასაღებს.

და როგორი მუსიკაა აქ საჭირო? შეიძლება აქ შევიდეთ პრობითობის სამყაროში.

ყველაზე რთული ღირის გამოღვიძებაა. მუსიკა, რომელიც თან ახლავს გამოღვიძებას– მიყრუებული მელოდია, გაუგებარია საიდან გამოსული, მაგრამ ისეთი ცოცხალი, შორეული, წყნარი, მშვიდი. მაგრამ აქ არის საშიშროება ისინი იქცნენ ღირის ძილიდან გამოძვალ მეტაფიზიკურ ხმებად ან მსგავს რაღაცად....

